ბაბაკი თოფურიას ძროხები ფერმა

~~275~~
495
194

ფონდი 287 ანაწ. 1 საქ. № 194

ფონდი 287 ანაწ. 1 საქ. № 194

მუდმივად შენახვის
ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

დასკანირებულია 13
16.01.2025

13.

1949. 11. VIII.
№ 33

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# ნარკვევი ა. ოსტროვსკის შესახებ

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა ერ. ქარელიშვილის ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი დიდი რუსი დრამატურგის ალექსანდრე ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიაში ალ. ოსტროვსკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, რადიკალურად მოაზროვნე და ჰუმანისტი შემოქმედი, რომელმაც უკვდავი სახელი დაიმკვიდრა არა მხოლოდ რუსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც.

კერძოდ ქართული თეატრი და ქართველი მაყურებელი დიდად არის დავალებული ალ. ოსტროვსკის მადლიანი კალმით. მისი კომედიები და დრამები 1874 წლიდან განუწყვეტლივ იდგმება ქართული თეატრის სცენაზე. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართველი მკითხველი საზოგადოებრიობა იჩენდა და იჩენს ალ. ოსტროვსკისადმი, როგორც მხატვრული სიტყვის დიდ ოსტატისადმი.

ერ. ქარელიშვილის ეს ნარკვევი ამ მხრი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო მო ლენაა დიდი რუსი დრამატურგის გაცნობა შესწავლისათვის. წიგნი შესდგება სამი თავი საგან: ალ. ოსტროვსკის ცხოვრება და მე მოქმედება, ალ. ოსტროვსკი და რუსული თე ატრი, ალ. ოსტროვსკი და ქართული თეატრი. ავტორის მიზანია გააცნოს ქართველ მკითხველებს რთული შემოქმედებითი გზა, რომელიც განვლო ალ. ოსტროვსკიმ პირველი კომედიიდან „შინაურები ვართ — მოვრიგდებით“ (1849 წ.), ვიდრე უკანასკნელ დრამამდე „უდანაშაულო დამნაშავენი“ (1884 წ.) და ის გავლენა, რაც მან რუსული და ქართული თეატრის ზრდა-განვითარებასა და თეატრალურ ცხოვრებაზე მოახდინა.

წიგნის პირველ თავში (გვ. 11-129) ავტორი ფართოდ აშუქებს ალ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს პერიოდებს და დაწვრილებით იხილავს მის თითქმის ყველა დრამატურგიულ ნაწარმოებს. კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების მარქსისტულ-ლენინური პრინციპის მომარჯვებით ავტორს სერიოზული და ღრმა კვლევითი მუშაობა ჩაუტარებია, რათა სწორად გაეშუქებინა მკითხველებისათვის ამ დიდი დრამატურგის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები.

ცალკე თავში „ოსტროვსკი და ქართული თეატრი“ ავტორს მოკლედ ნაჩვენები აქვს ის დიდი პოპულარობა და გავლენა, რაც ქართული თეატრის განვითარებაზე მოახდინა ალ. ოსტროვსკიმ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ქართული თეატრების მაყურებელთა ინტერესი ოსტროვსკისადმი. მისი პიესები: „შემოსავლიანი ადგილი“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „უმზითვო“, „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, „ჭექა-ქუხილი“, „შმაგი ფულები“ და სხვ. განუწყვეტლივ შედის ქართული საბჭოთა თეატრების რეპერტუარში, როგორც საუკეთესო ნაწარმოებნი.

ჩვენი სკოლის მუშაკებს, განსაკუთრებით ქართულ სკოლებში რუსული ლიტერატურის მასწავლებლებს, ერ. ქარელიშვილის აღნიშნული წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ალ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლაში.

ქ. ვახტანგაძე

• • •

## მასწავლებლის გამოცდილებიდან

# კლასიკოსების გამოყენება საბავშვო ბა[ღში]

დიდია ხალხური და მხატვრული ნაწარმოების გავლენა ბავშვის ნორჩ გონებასა და გრძნობებზე.

საბავშვო ბაღში იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, შიო მღვიმელის, ი. ევდოშვილის, ვაჟა-ფშაველას და თედო რაზიკაშვილის შემოქმედების ნიმუშებს რომ ვიყენებთ, ნათლად ვხედავთ, რა ღრმა გავლენას ახდენენ ისინი ჩვენს აღსაზრდელებზე.

მხატვრული ნაწარმოები ბავშვს აახლოვებს ბუნებასთან, უღვივებს მას მეგობრობის გრძნობას, უვითარებს პატივისცემას და სიყვარულს უფროსებისა და მოხუც[...]

შემოტრიალებულა ჩემკენ და თავისი დიდი შავი თვალებით შემომცქერის. მე თითქოს ამას ვერ ვამჩნევ და განვაგრძობ კითხვას:

გაუხტა ხმალმოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო,
თორმეტი მაჭკლა ციხის კარს
ერთ-ერთზე დააწვინაო.
. . . . . . . . .
. . . . . . . . .
ვეფხვსა დააცვდა კლან[...]
ბაკურმა დაი[...]

[...]ციხის. ბაკუ[...]ურმა თორმეტი მოკ[...]ამა მოგვწერა, ბევრი ფაშის[...] დავხოცეთ, ბევრი გავრეკეთო. და ჯუმბერმა მომაყარა კითხვები.

ბავშვები მეხვეწებიან კიდევ წავუკითხო რამე. ჩემს კითხვაზე, რა წავუკითხო, მესმის: „ბაკური".

მეორე დღეს ჯუმბერი სულ გარშე[...]ო მივლის, საუზმის დამთავრებისთა[ნ]ავე მიახლოვდება და მთხოვს წავუ[კ]ითხო რამე. დავპირდი, ხვალ წაგი[კ]ითხავთ-მეთქი.

შემდეგი ჩვენი მასალა გახლდათ [ვ]აჟა-ფშაველას მოთხრობა „შვლის [ნ]უკრის ნაამბობი".

— პაწაწა ვარ, ობოლი, ბედმა და[...]იბრიყვა, — ვკითხულობ მე. — გულმეგიც ობოლია, არა, მასწავლებელო? მამა ომში მოუკლეს, — ამბობს ჯუმბერი.

ეტყობა, ესეც მოსწონს. თვალზე ცრემლები უბრწყინავს, როცა დედაშვილის სიკვდილის ამბავს ვკითხულობ.

მაგრამ სულ ასეთი სევდიანი აღარ მინდა წავუკითხო. ვკითხულობ სათაგურის მესამე თავს, სადაც თაგვებს უნდათ თავისი დატყვევებული ამხანაგის განთავისუფლება სათაგურ[...]

ცელქა, ცქმუნა, კუდა დი[...]თიას იწვევენ ბავშვებში[...]კისი ავსებს ოთახს, როდე[...]უნა და მისი ამხანაგები გულგახ[...]ქილნი გულზე გადაახტებიან სახლის პატრონს.

შემდეგ წავუკითხე ლექსი: